

THE ROLE OF MICROFINANCE ORGANIZATIONS IN THE LEGAL SYSTEMS OF UKRAINE, ROMANIA, AND ARMENIA: A COMPARISON WITH THE GEORGIAN REALITY (Comparative Legal Analysis)

Guram Macharashvili

Guram Macharashvili

*Phd Student of the Faculty of Law and Social Sciences
at East European University (Georgia)*

Email: macharaguram@gmail.com

Abstract

This article concerns the legal state of microfinance organizations and their legal status in the legal systems of developing and some EU countries (Ukraine, Armenia, and Romania). Its characterization in relation to the Georgian reality, on the basis of comparative-legal methodology, allows for the disclosure of all positive and negative features in terms of the legal status of microfinance organizations.

The author pays special attention to the role of microfinance organizations in countries with non-prudential regulation (Ukraine, Romania, and Armenia), the origin and development process of their status, their comparative legal characterization based on the normative and functional methods and the determination of common and distinguishing legal features in relation to microfinance organizations operating in Georgia.

The author also does not neglect to show the strengths and weaknesses of microfinance organizations in terms of their licensing and liquidation on the basis of the legal means of non-prudential regulation.

The article analyzes, on the basis of comparative legal methodology, the normative and functional legal framework of the operation of microfinance organizations from the developing and some EU countries.

Concerning the status of microfinance organizations operating in Georgia, the distinguishing-similar, positive-strong and weak features have been highlighted.

KEYWORDS: Non-prudential regulation, Comparative legal characterization, Legal status, Regulatory legislation

„ყველი ხალხი, რომელსაც კანონები ან ჩვეულებები მართავს, ნაწილობრივ თავის საკუთარ სამართალს იყენებს და ნაწილობრივ – ყველასათვის საერთო სამართალს.

ვინაიდან ის სამართალი, რომელსაც თითოეული ხალხი თავისთვის იდგენს, თავისი საკუთარია და მას ეწოდება ცივილური სამართალი, ე.ი. თითქოს თავად ან სახელმწიფოს საკუთარი სამართალი. ხოლო სამართალს, რომელიც ბუნების გონმა ყველა ადამიანს შორის დააწესა, თანაბრად იცავს ყველა ხალხი და მას ეწოდება ხალხთა სამართალი, ე.ი. (სამართალი), რომელსაც ყველა ხალხი იყენებს“¹

შესავალი

წინამდებარე სტატიის მიზანია მკითხველს გავაცნოთ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსი განვითარებად და ევროკავშირის ცალკეულ ქვეყნების (უკრაინა, რუმინეთი და სომხეთი) სამართლის სისტემაში, არაპრუდენციული რეგულირების სამართლებრივი საშუალებების საფუძველზე შედარებითსამართლებრივი მეთოდოლოგიით გამოვავლინოთ საქართველოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან შედარებით საერთო და განმასხვავებელი, ფუნქციონალური და ნორმატიული სამართლებრივი ნიშნები. აღნიშნული დახასიათება კი შესაძლებელია შედარებით სამართლებრივი მეთოდოლოგიის საფუძველზე.

სწორედ შედარებითსამართლებრივი მეთოდოლოგია არის ყველაზე მიზანშეწონილი ისეთი ფინანსური ინსტიტუტის დადებითი და უარყოფითი ფუნქციური

და ნორმატიული სამართლებრივი ნიშნების გამოსავლენად, როგორც ეს ახასიათებთ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს.

რაც შეეხება თვითონ შედარებას, როგორც სამართლებრივი შემეცნების პროცესის ერთ-ერთ სახეობას, მას წინ უნდა უძღოდეს თეორიული დასაბუთება, რომელიც განსაზღვრავს შემეცნების სიღრმეს, გამოტანილი დასკვნების დასაბუთებულობასა და ჭეშმარიტება-მცდარობას.²

სტატიაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციები მათი სამართლებრივი სტატუსის კვლევის მასშტაბიდან გამომდინარე, იგი შეიძლება დავყოთ კვლევის შემდეგ დონეებად:

1) მიკრო დონეზე კვლევა, რომელიც მოიცავს მხოლოდ ცალკეული სამართლის ნორმების შედარებას; 2) ინსტიტუციონალური კვლევის დონე, რომელიც ორიენტირებულია მხოლოდ ცალკეული სამართლებრივი ინსტიტუტების კვლევაზე;

3) მაკრო შედარება, რომელიც მოიცავს ქვეყნების სამართლებრივი სისტემის დონეზე შედარებას.³

გარდა აღნიშნულისა, კვლევისას გამოყენებული იქნება შედარებით სამართალში მიღებული შემდეგი მეთოდოლოგიური პრინციპები:

1. კვლევის ობიექტის (იურიდიული პირის-მიკროსაფინანსო ფინანსური ინსტიტუტის) შერჩევა მისი ფუნქციებიდან გამომდინარე;

2. კვლევის ობიექტის (იურიდიული პირის-მიკროსაფინანსო ფინანსური ინსტიტუტის) სამართლებრივი შედარება სისტემური, ნორმატიული ფორმალურ-ლოგიკური და ფუნქციონალური მეთოდ-

1 რომის სამართლის ძეგლები, გაიუსის ინსტიტუციები. 2011. თბილისი.

2 შეადარე. Сабо, И., 1969. Сравнительное правоведение. Сборник статей: Перевод с венгерского. Критика современной буржуазной теории права. Москва: Прогресс, გვ. 187.

3 შეადარე. Сырых, В. М., 2012. История и методология юридической науки. Учебник. М: Норма: ИНФРА-М, 464 с. გვ. 288.

დის საფუძველზე კონკრეტული ქვეყნის სამართლის სისტემის ჭრილში;

3. კვლევის ობიექტის (მიკროსაფინანსო იურიდიული პირის) მარეგულირებელი ნორმების ანალიზი მათი სამართლებრივი დანიშნულების, სახელწმიფოს მიერ მინიჭებული ფუნქციების ჭრილში;

4. კვლევის ობიექტის (იურიდიული პირის-მიკროსაფინანსო ფინანსური ინსტიტუტის) მსგავსი და განმასხვავებელი სამართლებრივი ნიშნების, ტერმინების გამოვლენა და დახასიათება;

5. კვლევის ობიექტის (მიკროსაფინანსო იურიდიული პირის) საერთო და განმასხვავებელი სამართლებრივი ნიშნების დამდგენი პრინციპების განსაზღვრა და მათი საქართველოს სამართლის სისტემისათვის გამოყენების შესაძლებლობების დადგენა.⁴

თუმცა კვლევისას გამოყენებული სამართლებრივი მეთოდოლოგიის მხრივ აქცენტი გაკეთდება კვლევის ობიექტის (იურიდიული პირის-მიკროსაფინანსო ფინანსური ინსტიტუტის) ნორმატიულ და ფუნქციონალურ შედარებაზე.⁵

ფუნქციურობის პრინციპის კი, პირველ რიგში, ნიშნავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შედარებით დახასიათებას შემდეგი სტადიების საფუძველზე: საკითხის დასმა, შეპირისპირებული მართწესრიგის შერჩევა, საკითხის ფუნქციური გადაწყვეტის ძიება, სისტემის ჩამოყალიბება, შედარების შედეგად გამოკვეთილი მსგავსებისა და განსხვავებების კრიტიკული ანალიზი.⁶

არ შეიძლება არ აღინიშნოს რომ ფუნქციონალური მეთოდი, თანამედრო-

ვე შედარებით სამართლებრივ მეთოდოლოგიაში დღესდღეობით ფართოდ გავრცელებული მეთოდია. სწორედ ეს მეთოდი იძლევა შესაძლებლობას კვლევის საგანი, ცალკეული სამართლის ინსტიტუტები „გარჩეულ“ იქნას საკუთარი სამართლის სისტემისაგან – სამართლის ოჯახისაგან (საერთო სამართლის, რომანულ-გერმანული, კონტინენტალური და ა.შ) დამოუკიდებლად. სწორედ ფუნქციონალური მეთოდი იძლევა შესაძლებლობას საკვლევი ობიექტი დანაწევრდეს ცალკეულ ელემენტებად და ყველა ისინი, შემდგომში მათ ერთიანობაში იქნას განხილულ-დახასიათებული.⁷

სტატიაში კვლევის ობიექტის – მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სამართლებრივი სტატუსის შედარებით სამართლებრივი დახასიათებისას ყურადღება გამახვილებულია მისი, როგორც ფინანსური ინსტიტუტის, ფუნქციებზე. ხოლო ინსტიტუტები როგორც იურიდიული, ასევე არაიურიდიული და ასევე სხვადასხვა დოქტრინალური თავისებურებებით, თუკი ისინი ფუნქციონალურად ეკვივალენტურია, თუკი ისინი ყველა მსგავს ფუნქციებს ასრულებენ სხვადასხვა ქვეყნების სამართლის სისტემაში, უნდა მივიჩნიოთ შედარებად სამართლებრივ ინსტიტუტად – რეალურ კატეგორიად.⁸

სტატიაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციები განხილულია მათი არაპრუდენციული სამართლებრივი რეგულირების სისტემის ჭრილში, თუმცა ცალკეულ ქვეყნებს (რუმინეთი, სომხეთი) აქვთ პრუდენციული ზედამხედველობის ელემე-

4 შეადარე. Кожевников, В. В., 2008. Методология и история права. В 2-х частях. Ч.1. Омк: ОмГУ, გვ. 152-153.

5 შეადარე. იქვე. გვ. 155.

6 შეადარე. რუსიაშვილი, გ. და შალიკაშვილი, მ., 2020. აკადემიური წერა იურისტებისათვის. თბილისი: გვ. 225.

7 შეადარე. Geoffrey, S., 2014. "An Introduction to Comparative Law Theory and Method." OXFORD AND PORTLAND, OREGON: Published in the United Kingdom by Hart Publishing Ltd. გვ. 61.

8 შეადარე. იქვე. გვ. 39.

ნტებიც, რომლებიც მათ საქართველოს რეალობისაგან განსხვავებით მეტ ფუნქციონალურ და ნაკლებ ნორმატიულ – ინსტიტუციონალურ რეგულირებად შესაძლებლობებს აძლევს.

სტატიაში მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, როგორც კვლევის ობიექტი, პირველ რიგში, განხილულია ქვეყნები სამართლის სისტემის ინსტიტუციონალურ ჭრილში.

აღნიშნული ინსტიტუციონალური სისტემა კი თავისთავად იწვევს კვლევის ობიექტის – მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სისტემატიზირებას, მათი ფუნქციების გამოკვეთას, მარეგულირებელი კანონების და ნორმატიული აქტების სამართლებრივ სისტემატიზირებას.⁹

ცხადია, სტატიის ფარგლებში შეუძლებელიცაა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სრული სამართლებრივი და ნორმატიული ელემენტების, ყველა სამართლებრივი ნიშნების დახასიათება, ამიტომ ჩვენ მიერ განხილულია მხოლოდ მისი, როგორც იურიდიული პირისათვის დამახასიათებელი, შექმნის, ლიცენზირების, საქმიანობაში დაწესებული შეზღუდვებისა და იურიდიული პირის ლიკვიდაციის აუცილებელი სამართლებრივი ელემენტები, მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სამართლებრივი სტატუსი უკრაინაში

უკრაინაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსი საქართველოსაგან განსხვავებით არაპრუდენციული ზედამხედველობის სისტემით, წარმოადგენს სწრაფად ფორმირებადი ფინანსური ინსტიტუტების ერთიან სისტემას. მხოლოდ 2022 წლის მონაცემებით უკრაინაში მოქმედებს 971 ფინანსური კომპანია, 288 ლომბარდი და 146 სალიზინგო კომპანია. მათ შორის მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა აღემატება 200-ს.¹⁰ 2020 წელს კი მათი რაოდენობა შეადგენდა 100-ს.¹¹ უკრაინის მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა საქართველოსაგან განსხვავებით წლიდან წლამდე იზრდება. საქართველოში მათი რიცხვი 74-დან შემცირდა 34-მდე ბოლო 6 წელიწადში. აღნიშნული კი გამოწვეულია როგორც ქვეყნის, ასევე მისი ფინანსური სისტემის თანამედროვე მსოფლიოში და განვითარებულ ქვეყნებში მიღებული საფინანსო სისტემებისათვის დამახასიათებელი საკანონმდებლო და ტექნოლოგიური თუ ფინანსური სტანდარტების დანერგვით. საქართველოსაგან განსხვავებით უკრაინაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების არაპრუდენციული ზედამხედველობის სისტემა და მათი საქმიანობის მარეგულირებელი არასპეციალიზირებული ნორმატიული აქტები სისტემატიზირებულ სახეს იღებს მხოლოდ 2019 წლის სექტემბრიდან, როდესაც მიღებული იქნა კანონი N79 – „უკრა-

9 შეადარე. იქვე. გვ. 141.

10 შეადარე. Все МФО Украины 2024. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<http://finstaff.com.ua/catalog/mfo-ukrainy.html>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].

11 შეადარე. Анализ рынка микрокредитования в Украине. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://inventure.com.ua/analytics/investments/analiz-rynka-mikrokreditovaniya-v-ukraine>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].

ინის ცალკეულ საკანონმდებლო აქტებში ცვლილების შეტანის შესახებ ფინანსური მომსახურების ფუნქციების სახელმწიფო გაუმჯობესების შესახებ“.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ უკრაინაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსი და მისი ფუნქციები დაკონკრეტდა 2020 წლის 01 ივლისს. სწორედ ამ თარიღიდან მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ლიცენზირებისა და საქმიანობაზე არაპრუდენციული ზედამხედველობის ფუნქციები კანონმდებლობაში შესული შესაბამისი ცვლილებებით დაეკისრა უკრაინის ეროვნულ ბანკს, რომლითაც ქართულ რეალობასთან მსგავსი სურათი შეიქმნა. ამ თარიღამდე აღნიშნულს ახორციელებდა უკრაინის ფინანსური მომსახურების ნაციონალური კომისია.¹² უკრაინაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსი, საქმიანობის პრინციპები და მოქმედების არეალი განსაზღვრულია შემდეგი ძირითადი საკანონმდებლო აქტებით:¹³ „ფინანსური სერვისებისა და ფინანსური მომსახურების ბაზრის სახელმწიფო რეგულირების შესახებ“, „სამომხმარებლო დაკრედიტების შესახებ“, „ელექტრონული კომერციის შესახებ“, უკრაინის სამოქალაქო კოდექსი, უკრაინის სამეურნეო კოდექსი და 2021 წლის დეკემბრიდან უკრაინის ნაციონალური ბანკის მიერ მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. ხსენებული საკანონმდებლო აქტებით საქართველოსაგან განსხვავებით ზუსტად არაა გამიჯნული მიკროსაფინანსო ორგანიზაციის და მიკროსაფინანსო დაწესებულებების, მიკროსაკრედიტო შუამავლების, ფონდების და სხვა მიკროდაკრედიტებით დაკავებული ფინანსური ინსტიტუტების სამართლებრივი სტატუსი.¹⁴ უკრაინის 2019 წლის 12 სექტემბრის N 79-IX კანონის „ფინანსური მომსახურებისა და ფინანსური მომსახურების ბაზრის სახელმწიფო რეგულირების შესახებ“ 1-ლი მუხლი ერთმანეთისაგან განასხვავებს ფინანსურ ინსტიტუტს და საკრედიტო დაწესებულებას. ხსენებული კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტით ფინანსური ინსტიტუტი არის „იურიდიული პირი, რომელიც კანონის შესაბამისად ახორციელებს ერთ ან მეტ ფინანსურ მომსახურებას, აგრეთვე სხვა მომსახურებას (ოპერაციებს), რომლებიც დაკავშირებულია ფინანსური მომსახურების გაწევასთან, კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში და შეყვანილია – რეგისტრირებულია შესაბამის რეესტრში კანონით დადგენილი წესით. უკრაინაში საფინანსო ინსტიტუტები მოიცავს ბანკებს, საკრედიტო კავშირებს, ლომბარდებს, სალიზინგო კომპანიებს, სატრასტო კომპანიებს, სადაზღვევო კომპანიებს, დაგროვებით საპენსიო ინსტიტუტებს, საინვესტიციო ფონდებს და კომპანიებს და სხვა იურიდიულ პირებს, რომელთა ექსკლუზიური საქმიანობაა ფინანსური მომსახურების გაწევა კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში და ფინანსური მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული სხვა მომსახურება (ტრანზაქციები)“.¹⁵ ამავე კანონის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტით

12 იქვე.

13 შეადარე. Что такое МФО?. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://mycredit.ua/ru/blog/что-такое-мфо/>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].

14 საქართველოში უკრაინისაგან განსხვავებით ეროვნული ბანკის პრუდენციული ზედამხედველობის სისტემით მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსი მკაცრად და იმპერატიულადაა განსაზღვრული 2006 წლის 18 ივლისის №3482-რს საქართველოს კანონით „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“.

15 Law of Ukraine On Financial Services and State Regulation of Financial Services Markets. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://zakon.rada.gov.ua/laws/show/en/2664-14#Text>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].

კი საკრედიტო დაწესებულებად მიიჩნევა „ფინანსური ინსტიტუტი, რომელსაც შესაბამისი ფინანსური ინსტიტუტის საქმიანობის შესახებ კანონის თანახმად, უფლება აქვს გასცეს სესხი საკუთარი რისკით ნასესხები სახსრების გამოყენებით“.¹⁶

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სამართლებრივ სტატუსს მისი ფუნქციონალური დანიშნულების ქრილში იძლევა ამავე კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტი, რომლითაც განსაზღვრულია საფინანსო ინსტიტუტის და მათ შორის ხსენებული მუხლის (1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტი) განმარტებიდან გამომდინარე, კომპანიის-მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ ფინანსური მომსახურების დაშვებული საქმიანობის სახეობები „სესხისთვის სახსრების გაცემა, მათ შორის ფინანსური სესხის პირობებით“. შესაბამისად საკანონმდებლო დონეზე მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უკრაინაში არის საფინანსო ინსტიტუტი, რომელიც ახდენს „სესხისთვის სახსრების გაცემას, მათ შორის ფინანსური სესხის პირობებით“.

უკრაინის კანონის, „ფინანსური სერვისებისა და ფინანსური მომსახურების ბაზრის სახელმწიფო რეგულირების შესახებ“, თანახმად მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დასახელება კიდევ უფრო დაკონკრეტებულია, რომელსაც უკრაინაში წარმოადგენს „იურიდიული პირი – ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც გასცემს მოკლევადიან სესხებს უკრაინის მოქალაქეებზე როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებზე, ლიცენზიის საფუძველზე“ (კანონის მე-4 მუხლი). თუმცა უკრაინაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ გასაცემი სესხის გაცემის პირობები განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ ტიპიურად ითვლება შემდეგი:

- სესხის თანხა პირველ განაცხადზე არის საშუალოდ 1000-დან 10000 უკრაინულ გრივნამდე;

- ხელახლა განაცხადის შემთხვევაში საკრედიტო ლიმიტი შეიძლება გაიზარდოს;
- სესხის ვადა მერყეობს 30 დღიდან 18 კვირამდე;
- შეღავათიანი განაკვეთი ახალი მომხმარებლისთვის არის 0,01%-დან დღეში, განმეორებითი გამოყენების შემთხვევაში – 1,9%-მდე დღეში და მეტი;
- საპროცენტო განაკვეთი წელიწადში 200-დან 720%-მდე და ზემოთ მერყეობს.

უკრაინის ტერიტორიაზე მოქმედი ყველა ფინანსური ორგანიზაცია შეიძლება პირობითად დაიყოს მიკროსაფინანსო საკრედიტო დაწესებულების რამდენიმე ტიპად სესხის მიღების მეთოდისა და გირაოს მოთხოვნების მიხედვით:

- კომპანიები, რომლებიც მუშაობენ ექსკლუზიურად ონლაინ;
- კომპანიები, რომლებიც გასცემენ სესხებს ოფლაინ საკუთარ ფილიალებში;
- კომბინირებული კომპანიები, მაგალითად, ონლაინ განაცხადი ოფისში სესხის ხელშეკრულების გაფორმებით+მიკროსესხზე განაცხადის შესაძლებლობა ონლაინ/ოფლაინ ელექტრონული/სტანდარტული ხელშეკრულების გაფორმებით და საბანკო ბარათზე თანხის მიღებით;
- ორგანიზაციები, რომლებიც სესხს აძლევენ უზრუნველყოფის გარეშე და უზრუნველყოფის უზრუნველყოფით. ხოლო მეორე ტიპის მიკროსესხი გულისხმობს სტანდარტულზე მეტი თანხის აღების შესაძლებლობას და უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოფის საშუალებით,

16 იქვე.

რომელსაც აქვს სესხის თანხაზე მაღალი ღირებულება.¹⁷

უკრაინაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შექმნისა და რეგისტრაციის, მათთვის მიკროსაფინანსო ორგანიზაციის – საფინანსო მომსახურების გამწევი იურიდიული პირის სტატუსი განსაზღვრულია უკრაინის შემდეგი კანონებით: „ფინანსური სერვისებისა და ფინანსური მომსახურების ბაზრის სახელმწიფო რეგულირების შესახებ“, „უკრაინის სამოქალაქო კოდექსი“, უკრაინის ეროვნული ბანკის 2021 წლის 24 დეკემბრის N153-ე დადგენილება „ფინანსური მომსახურების მიმწოდებელთა ლიცენზირებისა და რეგისტრაციის დებულებისა და ფინანსური მომსახურების გაწევის საქმიანობის განხორციელების პირობების დამტკიცების შესახებ“. საქართველოს შემთხვევაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ეროვნული ბანკის მიერ ზედამხედველობის წესი და ზოგადი ლიცენზირების სპეციალური წესები განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 აპრილის ბრძანების (№58/04) საფუძველზე დამტკიცებული „მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ დებულებით.

უკრაინის კანონის „ფინანსური სერვისებისა და ფინანსური მომსახურების ბაზრის სახელმწიფო რეგულირების შესახებ“ მე-7 მუხლი განსაზღვრავს უკრაინაში იურიდიული პირისათვის მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსის მიღების ზოგად წინაპირობებს, კერძოდ, ხსენებული მუხლით იურიდიული პირი, რომელიც აპირებს ფინანსური მომსახურების გაწევას,

ვალდებულია ფინანსური ინსტიტუტების სახელმწიფო რეესტრში შესატანად სახელმწიფო რეგისტრაციის დღიდან ოცდაათი კალენდარული დღის ვადაში მიმართოს ფინანსური მომსახურების ბაზრის სახელმწიფო რეგულირებაზე პასუხისმგებელ შესაბამის ორგანოს, მოცემულ შემთხვევაში უკრაინის ეროვნულ ბანკს. ხოლო, რაც შეეხება სამართლებრივ ფორმას, რომლითაც იურიდიულ პირებს შეუძლიათ ფინანსური ინსტიტუტის მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსის მიღებამდე დარეგისტრირდნენ, აღნიშნულ ფორმებს განსაზღვრავს ხსენებული კანონის მე-8 მუხლი, რომლითაც ფინანსური ინსტიტუტები შეიძლება შეიქმნას ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონები ფინანსური მომსახურების ცალკეული ბაზრების რეგულირების შესახებ არ შეიცავს სპეციალურ წესებსა და შეზღუდვებს.

რაც შეეხება იურიდიული პირის – მიკროსაფინანსო ორგანიზაციის კორპორატიული მმართველობა ამავე მუხლის მე-3 პუნქტით ხორციელდება სამეწარმეო სუბიექტების საქმიანობის შესახებ კანონების შესაბამისად, რაც გულისხმობს, პირველ რიგში, უკრაინის სამოქალაქო კოდექსს, რომლის მოთხოვნები (113-ე, 141-143-ე, 152-162-ე მუხლები) იურიდიული პირის რეგისტრაციასა და მართვის ორგანოების ფორმირებაზე ვრცელდება მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზეც. სწორედ უკრაინის სამოქალაქო კოდექსის 113-ე მუხლის მე-2 პუნქტით სამეწარმეო კომპანიები შეიძლება შეიქმნას სრული კომპანიის, შეზღუდული კომპანიის, შეზღუდული ან დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზო-

17 შეადარე. Что такое МФО в Украине. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://finx.com.ua/ru/news/chto-takoe-mfo-v-ukraine>> [წვდომის თარიღი 10.05.2024]. ანალოგიურ საკითხზე ინფორმაცია იხ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://mycredit.ua/ru/blog/chto-takoe-mfo>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].

გადოების სახით.¹⁸ უკრაინაში მოქმედი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების უმეტესობა კი სწორედ მუზლდული პასუხისმგებლობისა და სააქციო საზოგადოების სახითაა რეგისტრირებული.¹⁹

რაც შეეხება იმ სპეციალურ წესებს, რომლებიც განსაზღვრავენ უკრაინის კანონმდებლობის მიხედვით რეგისტრირებული იურიდიული პირების მიერ ფინანსური მომსახურების გაწევის, მათ შორის მიკრო სესხების გაცემის უფლების მიღებას, აღნიშნული დეტალურად გაწერილია უკრაინის ეროვნული ბანკის 2021 წლის 24 დეკემბრის N153-ე დადგენილებით დამტკიცებული „ფინანსური მომსახურების მიმწოდებელთა ლიცენზირებისა და რეგისტრაციის დებულებისა და ფინანსური მომსახურების გაწევის საქმიანობის განხორციელების პირობებში“.²⁰

ხსენებული წესის მე-5 თავის 65-ე პუნქტით უკრაინის ეროვნული ბანკი ფინანსური მომსახურების განმახორციელებელ იურიდიულ პირებზე გასცემს შემდეგი სახის ლიცენზიებს: ფინანსური აქტივების მოზიდვაზე (შემდგომში მათი დაფარვის ვალდებულებით), ფინანსური ლიზინგის გაცემაზე, სესხისთვის სახსრების გაცემაზე (სესხის გაცემა), მათ შორის ფინანსური სესხის პირობებით, ფაქტორინგზე, გარანტიების გაცემაზე, მომსახურებაზე დაზღვევის სფეროში.

ამ მხრივ ჩვენთვის საყურადღებოა ხსენებული მუხლის მე-3 პუნქტი. საქართველოს შემთხვევაში მიკროსაფინანსო

ორგანიზაციების მიერ ერთი ლიცენზიის აღებით ისინი უკრაინისაგან განსხვავებით უკეთეს პირობებში არიან, რადგან ერთი ლიცენზიით იღებენ ხსენებული სახეებისაგან განსხვავებით შემდეგი სახის საქმიანობის წარმოების უფლებას:

ა) ინვესტირება სახელმწიფო და საჯარო ფასიან ქალაქებში;

ბ) ფულადი გზავნილების განხორციელება;

დ) „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-

2 მუხლის „38“ ქვეპუნქტით განსაზღვრული აგენტის ფუნქციის შესრულება;

ე) ამ პუნქტის „ა“-„ვ1“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად ქონების იჯარით გაცემა;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფინანსური მომსახურებები და ოპერაციები: დერივატივის დადება, თამასუქებისა და ობლიგაციების გამოშვება, რეალიზაცია და გამოსყიდვა, აგრეთვე ამ ფინანსურ მომსახურებებსა და ოპერაციებთან დაკავშირებული სხვა ოპერაციები.²¹

საკმაოდ ვრცელია ის წინაპირობებიც, რომელთა დაკმაყოფილებაც უწევს უკრაინაში ყველა დაინტერესებულ პირს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიცენზიის მისაღებად, რომლის მიღების შემდგომაც

18 შუადარე. Стаття 13 (2), Цивільний кодекс України. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://zakon.rada.gov.ua/laws/show/en/435-15#Text>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].

19 შუადარე. Все МФО Украины – кредитные компании 2024. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://krediti-online.com.ua/ru/finance-company>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].

20 Постанова Правління Національного банку України №153. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://bank.gov.ua/ua/legislation/Resolution_24122021_153> [წვდომის თარიღი 10.05.2024].

21 შუადარე. იხ. მუხლი 4, საქართველოს კანონი „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/24328?publication=23>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].

მათი მონაცემები უკრაინის ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირდება უკრაინის ფინანსური ორგანიზაციების ერთიან რეესტრში.²² ამდენად ირკვევა, რომ მცირე შედარებითაც კი, საქართველოში მოქმედი მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ფუნქციონალური დატვირთვით გაცილებით მეტი სახის საქმიანობას ეწევიან, ვიდრე ეს უკრაინის შემთხვევაშია.

2021 წლის 24 დეკემბრის N153-ე დადგენილების 72-ე მუხლით პირი, რომელიც აპირებს განახორციელოს/აწარმოოს ფინანსური მომსახურების გაწევა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტანდარტული სახით იურიდიული პირის სარეგისტრაციო დოკუმენტებთან ერთად უკრაინის ეროვნულ ბანკს წარუდგენს ინფორმაციას იურიდიული პირის/განმცხადებლის/არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტის მიერ ფინანსური მომსახურების გაწევის პირობებისა და პროცედურის შესახებ, შიდა დოკუმენტები (წესდება, დებულებები) კორპორატიულ მართვაზე, საფინანსო და ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციები და პოლიტიკები, ფინანსური მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტაციას, საკუთრების სტრუქტურას, ბენეფიციარი მესაკუთრეების ვინაობის მითითებით, ინფორმაციას ფინანსური მომსახურების ხელშეკრულებების და მათი გაფორმების-შესრულებისა და შეწყვეტის პირობების შესახებ.

ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ასევე განმცხადებელი იურიდიული პირის საწესდებო კაპიტალის ოდენობა, რომელიც 2021 წლის 24 დეკემბრის N153-ე დადგენილების 160-ე მუხლით ლიცენზიაზე განაცხადის შეტანის დღეს უნდა შეადგენდეს:

1) 3 მილიონ უკრაინულ გრივნას, თუ

განმცხადებელი აპირებს განახორციელოს ფინანსური მომსახურების მიწოდების ერთ-ერთი სახის საქმიანობა, რომელიც განსაზღვრულია დადგენილების II ნაწილის მე-5 თავის 65-ე პუნქტის მე-2-მე-4 ქვეპუნქტებით (მათ შორის მიკროსაფინანსო საქმიანობა);

2) 5 მილიონი გრივნა, თუ განმცხადებელი პირი აპირებს დადგენილების II ნაწილის მე-5 თავის 65-ე პუნქტის მე-2-მე-4 ქვეპუნქტებით განსაზღვრული ორი ან მეტი სახის ფინანსური მომსახურების მიწოდების საქმიანობის განხორციელებას (მაგალითად, მიკრო სესხების გაცემასთან ერთად ფინანსური ლიზინგით მომსახურებას);

2021 წლის 24 დეკემბრის N153-ე დადგენილება საკმაოდ დეტალურად აღწერს იმ პროცედურებსაც, რომლითაც უკრაინის ეროვნული ბანკი ამოწმებს განმცხადებლის საქმიან რეპუტაციას, მათ შორის არა მარტო როგორც იურიდიული, არამედ მასში მონაწილე ყველა ფიზიკური პირებისაც.

აღბათ საკმაოდ შორს წაგვიყვანდა ყველა იმ სამართლებრივი დეტალების აღწერა, რასაც უკრაინის ეროვნული ბანკი სთხოვს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიცენზიის მიმღების მსურველებს, რადგან ხსენებული დადგენილება იმდენად ვრცელია, რომ ითვალისწინებს 54 ადრე გაუქმებული პროფილის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტის სინთეზს, ფინანსური მომსახურების ბაზრების სფეროში.²³

რაც შეეხება უკრაინაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ძირითადი ფუნქციის მიკრო სესხების გაცემის რეალური განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს, მას განსაზღვრავს 2016 წლის 15

22 შეადარე. Інші реєстри та переліки. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://bank.gov.ua/ua/supervision/split/registers-lists>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].

23 შეადარე. აქტების სრული სია. Постанова Правління Національного банку України №153. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://bank.gov.ua/ua/legislation/Resolution_24122021_153> [წვდომის თარიღი 10.05.2024].

ნომბრის N 1734-VIII კანონი „სამომხმარებლო დაკრედიტების შესახებ“. ხსენებული კანონი განსაზღვრავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ ფიზიკური პირების მიმართ გასაცემი მიკროდაკრედიტების ყველა შესაძლო სამართლებრივ დეტალებს. თუმცა კანონი არ ვრცელდება ისეთ მიკრო სესხებზე, რომელთა დაფარვის ვადა გაცემიდან 1 თვეა (ამავე კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის 1-ლი ქვეპუნქტი, მე-6 და მე-8 პუნქტები), ასევე არასანქცირებულ ოვერდრაფტებსა და სალომბარდო სესხებზე.²⁴

საქართველოსაგან განსხვავებით უკრაინაში ხსენებული კანონი პირდაპირ განსაზღვრავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ვალდებულებას ხელშეკრულების გაფორმებამდე მომხმარებელს მიაწოდოს ყველა ინფორმაცია, რომლებიც სამომხმარებლო სესხის ძირითად პირობებს ეხება, კერძოდ: „სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების დადებამდე გამსესხებელმა მომხმარებელს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია კრედიტორის სხვადასხვა შეთავაზების შესადარებლად, რათა მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება შესაბამისი ხელშეკრულების დადებაზე, მათ შორის, არჩევანის გათვალისწინებით“.²⁵ საყურადღებოა ის დიდი სხვაობა, რაც უკრაინასა და საქართველოს ახასიათებს მიკრო სესხის ხელშეკრულების სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით, განსაკუთრებით მისი შინაარსის მხრივ.

თუკი საქართველოში „მიკროსესხის გაცემის თაობაზე მიკროსაფინანსო ორგანიზაციასა და მსესხებელს შორის იდება წერილობითი საკრედიტო ხელშეკრულება კანონისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად“,²⁶ უკრაინაში სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების პირობებში იმპერატიულად უნდა იყოს განსაზღვრული ისეთი საკითხები, როგორებიცაა: სესხის სახეობა (სესხი, საკრედიტო ხაზი, ანგარიშის დაკრედიტება და ა.შ.), სესხის ადების მიზანი, გაცემული სესხის მთლიანი თანხა, სესხის გაცემის წესი და პირობები, პერიოდი, რომლისთვისაც გაიცემა სესხი, გაცემული სესხის უზრუნველყოფის სახეები, სავარაუდო რეალური წლიური საპროცენტო განაკვეთი და მომხმარებლისთვის სესხის სავარაუდო ჯამური ღირებულება სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების დადების თარიღისთვის, პროცენტის გადახდის პროცედურა, სესხის გაცემასა და მიღებაზე უარის თქმის წესი და პირობები, სესხის ვადამდე დაფარვის პროცედურა, მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის.²⁷

უკრაინის შემთხვევაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს გაცილებით გააღვილებული აქვთ საკუთარი ფუნქციების შესრულება მომხმარებელთა უფლებების დაცვის მხრივ, რადგან ხსენებული კანონი გაცილებით დეტალურად აღწერს სამომხმარებლო კრედიტის გაცემისა და გამოყენების ყველა პირობას, ვიდრე ეს ქართული კანონმდებლობის შემთხვევაშია.

24 შეადარე. Стаття 3 (2¹), (6, 8), Закон України „Про споживче кредитування.“ [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://zakon.rada.gov.ua/laws/main/1734-19?lang=en#Text>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].

25 Там же. Стаття 9 (2).

26 პუნქტი 1, მუხლი 9, საქართველოს კანონი „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ.“ [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/24328?publication=23>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].

27 შეადარე. Стаття 12, Закон України „Про споживче кредитування.“ [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://zakon.rada.gov.ua/laws/main/1734-19?lang=en#Text>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].

საკმაოდ არასისტემური სახისაა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ლიკვიდაციის პროცესის სამართლებრივი რეგულაცია უკრაინაში. აღნიშნულ საკითხს ეხება 2021 წლის 24 დეკემბრის N153-ე დადგენილების „ფინანსური მომსახურების მიმწოდებელთა ლიცენზირებისა და რეგისტრაციის დებულებისა და ფინანსური მომსახურების გაწევის საქმიანობის განხორციელების პირობების“ 511-ე პუნქტი, რომელიც განსაზღვრავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის ორ ძირითად საფუძველს: ა) იურიდიული პირის დამფუძნებლის (აქციონერების, დამფუძნებლების) საერთო კრების გადაწყვეტილებით; ბ) სასამართლოს გადაწყვეტილებით იურიდიული პირის გაკოტრებულად გამოცხადებით. ხსენებული დადგენილების 514-ე პუნქტით თვით მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, როგორც იურიდიული პირის ლიკვიდაცია დასრულებულად ითვლება ერთიან სახელმწიფო რეესტრში ფინანსური მომსახურების მიმწოდებლის, როგორც იურიდიული პირის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ ჩანაწერის გაკეთების დღიდან. აღსანიშნავია ისიც, რომ ზემოთ ხსენებულ საფუძვლებისაგან განსხვავებულ საფუძველს ასახელებს ასევე უკრაინის სამოქალაქო კოდექსის 110-ე მუხლი, როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, როგორც იურიდიული პირის ლიკვიდაციის საფუძვლებად – სასამართლოს გადაწყვეტილებას იურიდიული პირის სახელმწიფო რეგისტრაციის ბათილად ცნობის თაობაზე მისი შექმნისას დაშვებული დარღვევების გამო, რომლებიც არ აღმოიფხვრება. გამომდინარე იქიდან, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები უკრაინაში მოქცეული არიან არაპრუდენციული ზედამხედველობის ქვეშ, საქართველოსაგან განსხვავებით იგი არ იცნობს ლიკვიდაციის ერთიან სისტემატიზირებულ (ნო-

რმებისა და პროცედურების სახით) წესს. საქართველოს შემთხვევაში არსებობს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ლიკვიდაციის ერთიანი წესი განსაზღვრული საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 აპრილის ბრძანება №59/04-ით დამტკიცებული „მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის წესის“ სახით.

მცირე დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინის საკანონმდებლო და ფინანსური სისტემა, როგორც არაპრუდენციული ზედამხედველობის პრინციპებით მოქმედი მოდელი, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივ სტატუსს განსაზღვრავს არასისტემურად და არასპეციალიზირებულად. უკრაინაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის დადგენილი მოქმედებისა და ფუნქციონირების ნორმატივები ქართული რეალობისაგან განსხვავებით ორიენტირებულია დაკრედიტების სიბიექტების – მომხმარებლების/ფიზიკური პირების უფლებრივ დაცვაზე. ვფიქრობთ, უკრაინის მაგალითზე საქართველოსათვის მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის მარეგულირებელ სპეციალიზირებულ ნორმატივებთან ერთად მიზანშეწონილი იქნება ცალკე კანონის მიღება მიკროდაკრედიტების შესახებ. აღნიშნული გააძლიერებს მიკროსაკრედიტო ორგანიზაციების ფუნქციებიდან გამომდინარე სოციალურ და სახელმწიფო კონტროლის მექანიზმებს და გაზრდის ფიზიკური პირების, როგორც ფულად-საკრედიტო ურთიერთობაში სუსტი მხარის უფლებრივ დაცულობას. ეს კი თავისთავად უზრუნველყოფს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობაში მეტი გამჭირვალობის დამკვიდრებას.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სამართლებრივი სტატუსი რუმინეთში

უკრაინისაგან განსხვავებით, აბსოლუტურად განსხვავებული სისტემატიზირებული, ფუნქციონალურ ჭრილში ვრცელია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსი რუმინეთში. რუმინეთის, როგორც ევროკავშირის წევრი ქვეყნის, ვალდებულებები მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგულირების და მათ მიმართ შესაბამისი ევროპული სტანდარტის დაწესება დაიწყო 2007 წლიდან, მას შემდეგ, რაც იგი ევროკავშირის წევრი ქვეყანა გახდა. ზოგადად კი რუმინეთი განეკუთვნება იმ ქვეყნების რიგს, რომლებსაც გააჩნიათ სპეციალური კანონი მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე, ასეთი ქვეყნები ევროკავშირში სულ სამია: საფრანგეთი, ხორვატია და რუმინეთი.²⁸

რუმინეთში საფინანსო სექტორის ძირითადი სუბიექტების მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკების შესახებ რეგულაცია ეხება საკრედიტო და საფინანსო ორგანიზაციებს. რეგულირება ეხება ასევე საკრედიტო დაწესებულებების, ბანკების და სხვა ფინანსური სუბიექტების საქმიანობას, რომლებსაც შეუძლიათ სესხის გაცემა.²⁹ კონკრეტულად კი რუმინეთში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივ სტატუსს განსაზღვრავს 2005 წლის 15 ივლისის კანონი N 240

„მიკროსაფინანსო კომპანიების შესახებ“, 2009 წლის 08 აპრილის N53-ე კანონი „არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ორგანიზაციების შესახებ“. ხოლო მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგისტრაციისა და საქმიანობის განხორციელების სპეციალური წესები კი განსაზღვრულია რუმინეთის ეროვნული ბანკის, როგორც ძირითადი ზედამხედველი ორგანოს³⁰ მიერ მიღებული შემდეგი ნორმატიული აქტებით: 2009 წლის 13 ოქტომბრის რუმინეთის ეროვნული ბანკის რეგლამენტით N20 „არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ორგანიზაციებთან დაკავშირებით“.³¹ რაც შეეხება მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, როგორც იურიდიული პირის ლიკვიდაციის საკითხს, აღნიშნული განსაზღვრულია რუმინეთის სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლებით.³² ზემოთ აღნიშნული ნორმატიული აქტების ანალიზის საფუძველზე დარწმუნებით უნდა ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსი ცალკე სპეციალური სახით არის განსაზღვრული, მას ავსებს ასევე სპეციალური სამართლებრივი აქტი არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ორგანიზაციების შესახებ 2009 წლის 08 აპრილის N53-ე კანონი „არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ორგანიზაციების შესახებ“.

რუმინეთში მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სამართლებრივ განმარტებას იძლევა კანონი „მიკროსაფინანსო კომპანიების შესახებ“ 1-ლი მუხლის „ა“ ქვე-

28 შეადარე. Expert Group Report The Regulation of Microcredit in Europe. გვ. 55. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://ec.europa.eu/docsroom/documents/3669/attachments/1/translations/en/renditions/pdf>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].

29 შეადარე. იქვე.

30 შეადარე. European microfinance network – EMN Legislative Mapping Report Romania. გვ. 12. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.european-microfinance.org/publication/emn-legislative-mapping-report-romania>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].

31 Instituții financiare nebancale. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.bnr.ro/Instituții-financiare-nebancale-2065.aspx>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].

32 შეადარე. Codul Civil al României. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://legislatie.just.ro/Public/DetaliiDocument/175630>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].

პუნქტი, რომლითაც „მიკროსაფინანსო კომპანია არის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია მიკროკრედიტების გაცემის მიზნით და რომელსაც არ შეუძლია განახორციელოს მოსახლეობისგან დეპოზიტების ან სხვა დასაბრუნებელი სახსრების შეგროვების კუთხით ნებისმიერი საქმიანობა.“ აღნიშნულ განმარტებას ავსებს ასევე „არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ კანონის მე-12 მუხლი, რომლითაც „არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობის საგანი, რომელიც განსაზღვრულია დამფუძნებელ აქტში, უშუალოდ უნდა მოიცავდეს საქმიანობას, რომელიც განხორციელდება როგორც ძირითადი, ასევე მეორადი საქმიანობის შემთხვევაში“. ამდენად, კანონი პირდაპირ ავალდებულებს ყველა მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, მის ძირითად და საწესდებო და პრაქტიკული საქმიანობის სახედ განსაზღვროს და დააფიქსიროს მიკროსაკრედიტო საქმიანობა.

საყურადღებოა რუმინეთში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიმართ დადგენილი ის საკანონმდებლო მოთხოვნები, რომლებიც შეეხება მიკროკრედიტსა და მის საკუთარ კაპიტალს. „მიკროსაფინანსო კომპანიების შესახებ“ კანონის 1-ლი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი აკონკრეტებს, თუ რას წარმოადგენს მიკროკრედიტი, რომელსაც კანონი მიიჩნევს განმცხადებლების – ფიზიკური ან იურიდიული პირების მოთხოვნით გაცემული კრედიტით, რომელიც არ უნდა იყოს 25 000 ევროზე მეტი, მაქსიმალური დაფარვის ვადით 60 თვე და გაცემული მსესხებლის ეკონომიკური განვითარებისათვის.³³ საქართველოში კი მიკროკრედიტად მიიჩნევა 100 000 ლარის ოდენობით გაცემული სესხი (იხ. კანონის „მიკროსაკრედიტო ორგანიზაციების შესა-

ხებ“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი). ხოლო, რაც შეეხება კაპიტალს, მისი როგორც რეგისტრაციისათვის, ასევე საქმიანობისათვის აუცილებელ ოდენობას განსაზღვრავს.

ფრიად საყურადღებოა რუმინეთში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგისტრაციის სამართლებრივი პროცედურებიც, რომლებიც გაცილებით სისტემატიზირებული და ლაკონურია, ვიდრე ეს უკრაინის შემთხვევაში განვიხილეთ.

კერძოდ, კანონის „მიკროსაფინანსო კომპანიების შესახებ“ მე-6 მუხლის საფუძველზე „სუბიექტები, რომლებიც აპირებენ მიკროსაკრედიტო საქმიანობის განხორციელებას რუმინეთის ტერიტორიაზე, ეს საქმიანობა შეუძლიათ განახორციელონ მხოლოდ რუმინეთის ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებულ ჩანაწერთა რეესტრში – გენერალურ რეესტრში შესაბამისად რეგისტრაციის შემდეგ“. დაინტერესებული პირი თავდაპირველად ვალდებულია დაარეგისტრიროს იურიდიული პირი კანონის „არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ მე-6 მუხლის საფუძველზე სააქციო საზოგადოების სამართლებრივი ფორმით. ხოლო დასახელებაში ამავე კანონის მე-7 მუხლით უნდა აისახოს ფრაზის „არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტის“ ან მისი აბრევიატურა IFN-სახით. გარდა აღნიშნულისა, რეგისტრაციისათვის აუცილებელია სავალდებულო საწესდებო კაპიტალის ოდენობის განსაზღვრაც, რომელიც ამავე კანონის II თავის მე-10 მუხლის საფუძველზე რუნდა შეადგენდეს ეროვნულ ვალუტაში 200 000 ევროს ექვივალენტს, ხოლო, თუკი მიკროსაფინანსო ორგანიზაციას სურს მიკროსესხების გარდა იპოთეკური სესხების გაცემა, მისი კაპიტალი ამ შემთხვევაში უნდა შეადგენდეს 3 000 000 ევროს ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში.

33 შეადარე. lege României privind societățile de microfinantare. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://legislatie.just.ro/Public/DetaliiDocumentAfis/63611>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].

ხსენებული კანონის მე-20 მუხლი დეტალურად აღწერს დაინტერესებული იურიდიული პირის მიერ რუმინეთის ეროვნულ ბანკში მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსის მისაღებად აუცილებელ დოკუმენტებსა და პროცედურას, კერძოდ, იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციიდან 30 დღის ვადაში დაინტერესებული პირი ეროვნულ ბანკს, გარდა სარეგისტრაციო დოკუმენტებისა, უგზავნის წერილს, რომელშიც ადასტურებს, რომ შევსებული აქვს სავალდებულო საწესდებო კაპიტალი (200 000 ან 3 000 000 ევრო) და დოკუმენტაციას კომპანიის მენეჯერების შესახებ (მინიმუმ შემდეგი ინფორმაცია: სრული სახელი, ორგანიზაციული სამართლებრივი ფორმა, მისამართი, სერია. ნომერი კომერციულ რეესტრში, სახელმწიფო ფინანსთა სამინისტროს მიერ მინიჭებული უნიკალური სარეგისტრაციო კოდი, ანუ ეკვივალენტური საიდენტიფიკაციო ელემენტები უცხოური იურიდიული პირების შემთხვევაში ან გარემოებიდან გამომდინარე: სახელი, სახლის მისამართი, წილი არა-საწესდებო კაპიტალში). აქვე წარედგინება ინფორმაცია ადმინისტრატორების/სამეთვალყურეო საბჭოს წევრებზე ამონაწერი აქციონერთა და სამეწარმეო რეესტრებიდან, ნასამართლობის არ არსებობაზე ცნობები და იურიდიული პირის აქციონერის – ბენეფიციარი მფლობელის დეკლარაცია.

ხსენებული კანონის 24-ე მუხლით არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების საწესდებო კაპიტალი სრულად უნდა იყოს გადახდილი. ამასთან საწესდებო კაპიტალი უნდა იყოს ფულადი შენატანებით შევსებული სრულად, ნატურალური შენატანები დაუშვებელია. ხოლო არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების მიერ გამოშვებული აქციები შეიძლება იყოს მხოლოდ რეგისტრირებული აქციები.

ხსენებული კანონის 25-ე მუხლით კი გენერალურ რეესტრში რეგისტრაციას

დაქვემდებარებული არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების შექმნის შესახებ უნდა ეცნობოს რუმინეთის ეროვნულ ბანკს სავაჭრო რეესტრში რეგისტრაციის დღიდან 30 დღის ვადაში. ამასთან მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, როგორც არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტებს შეუძლიათ განახორციელონ საკრედიტო საქმიანობა მხოლოდ ეროვნული ბანკის გენერალურ რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ.

კანონის 43-ე მუხლით რუმინეთის ეროვნული ბანკი ახორციელებს მონიტორინგს გენერალურ რეესტრში რეგისტრირებულ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე – არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებებზე, ძირითადად ამ სუბიექტების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების მეშვეობით მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

რუმინეთის ეროვნულმა ბანკმა ასევე შეიძლება განახორციელოს ინსპექტირება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების – არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების შტაბ-ბინაში (ადგილზე მათ ოფისში) და მათ ტერიტორიულ განყოფილებებში, როცა ამას საჭიროდ ჩათვლის, ამასთან დაკავშირებით უფლებამოსილი პერსონალის დახმარებით.

ფუნქციონალურ ჭრილში რუმინეთის კანონი „არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ მე-14 მუხლი პირდაპირ განსაზღვრავს საქმიანობის იმ სახეებს, რომელთა განხორციელების უფლებამოსილებაც გააჩნიათ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს.

კერძოდ, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, როგორც არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტებს, გარდა სესხის გაცემისა, შეუძლიათ განახორციელონ ისეთი საქმიანობა, როგორცაა: ფაქტორინგული ოპერაციები, დისკონტირება, ფინანსური ლიზინგი, გარანტიების გაცემა.

ხოლო ამავე კანონის მე-15 მუხლი იძლევა იმ საქმიანობების ჩამონათვალს,

რომლის განხორციელებაც ეკრძალებათ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს რუმინეთში. ასეთი აკრძალული საქმიანობის სახეობად ითვლება, პირველ რიგში, მოსახლეობისაგან დეპოზიტების ან სხვა დასაბრუნებელი სახსრების მოზიდვა, ობლიგაციების გამოშვება, გარდა კვალიფიციურ ინვესტორებზე საჯარო შეთავაზებისა, ოპერაციები მოძრავ და უძრავ ქონებასთან დაკავშირებით და არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების აქციების ყიდვა-გაყიდვა, ინსაიდერული სესხების გაცემა.

ხსენებული კანონის 58-ე მუხლით რუმინეთის ეროვნული ბანკი უფლებამოსილია გამოაქვეყნოს ანგარიში მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს-არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტის ან მისი ადმინისტრატორების, ან გარემოებიდან გამომდინარე, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ან მენეჯერების წინააღმდეგ, რომლებიც არღვევენ კანონის, ნორმატიული აქტების ან სხვა აქტების დებულებებს.

რუმინეთის ეროვნულ ბანკს კანონის 59-ე მუხლით მონიტორინგისა და ზედამხედველობის მოვალეობების შესრულებისას შეუძლია გამოიყენოს სანქციები, თუ აღმოაჩენს, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები – არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტი არღვევენ ხსენებულ მოთხოვნებს, კერძოდ: ახდენენ ოპერაციების განხორციელებას რეალური საფუძვლის გარეშე, რუმინეთის ეროვნულ ბანკში მონაცემები და ინფორმაცია არასწორადაა წარდგენილი, რუმინეთის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ზომების შეუსრულებლობა. მითითებულ შემთხვევებში რუმინეთის ეროვნულ ბანკს შეუძლია გამოიყენოს სანქციების ისეთი სახე, როგორცაა: წერილობითი გაფრთხილება, ჯარიმა მოქმედი მინიმალური მარეგულირებელი კაპიტალის 0,01%-დან 0,5%-მდე, ადმინისტრატორებსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებზე ან ხელმძღვანელებზე დაკისრებული ჯარიმა 1-დან 6-მდე

ყოველთვიური ანაზღაურების ოდენობით, ერთი ან რამდენიმე სახის საქმიანობის დროებითი შეჩერება ან შეზღუდვა. ხოლო სანქციის ბოლო ზომას წარმოადგენს რეესტრიდან ამორიცხვა, რომელშიც რეგისტრირებულია არასაბანკო ფინანსური ორგანიზაცია და საკრედიტო საქმიანობის აკრძალვა.

საკმაოდ მკაცრია ის სანქციები, რომლებიც დაინტერესებული იურიდიული პირის მიმართ ტარდება, ვინც მიკროსაფინანსო საქმიანობას აწარმოებს რუმინეთის ეროვნული ბანკის მიერ წარმოებად ერთიან რეესტრში სათანადო რეგისტრაციის გარეშე. ასეთ შემთხვევაში კანონის 61-ე მუხლით ფიზიკური პირის შემთხვევაში ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთი თვიდან ერთ წლამდე ვადით, ან ჯარიმით 1000-დან 15 000 რუმინულ ლემდე. ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში კი ჯარიმით 5000-დან 20 000 რუმინული ლემდე.

რუმინეთის მიკროსაფინანსო ორგანიზაციები უკრაინულის მსგავსად მათი ძირითადი ფუნქციის მიკროსესხების გაცემისას მოქმედებენ ასევე კანონით დადგენილი სტანდარტით. კერძოდ, კანონის „მიკროსაფინანსო კომპანიების შესახებ“ მე-9 მუხლით. „მიკროსაფინანსო კომპანია შეიმუშავებს შიდა დაკრედიტების წესებს, რომელიც ასევე უნდა შეიცავდეს პრუდენციულ მოთხოვნებს ოპერაციებისთვის, რათა უზრუნველყოს ბენეფიციარების მიერ მოწოდებული მონაცემებისა და ინფორმაციის კონფიდენციალურობა და ოპერაციების ფუნქციონირება გონივრული პრაქტიკის წესების შესაბამისად (მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტი). იგი ასევე ვალდებულია შეიმუშაოს შესაბამისი შიდა კონტროლის პროცედურები, რათა უზრუნველყოს მისი საქმიანობის განხორციელება კანონის მოთხოვნათა და პრუდენციული ნორმების შესაბამისად (მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი).

ხოლო მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით კი მიკროსაფინანსო კომპანიამ მიკროსესხის განმცხადებლებს უნდა წარუდგინოს ყველა პირობა მიკროსესხის ხელშეკრულების გაფორმებამდე. თვით მიკროკრედიტის ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს მინიმუმ შემდეგ აუცილებელ დებულებებს: საჯარიმო პროცენტებს, მოქმედ საკომისიოებსა და ტარიფებს, მიკროსაფინანსო კომპანიის მიერ შეთავაზებული თანხმობის მომსახურების ღირებულებას, სესხის გადახდის მეთოდებს, რეალურ ან/და პირად გარანტიებს, მიკროკრედიტის გამოყენების მიზანსა და მეთოდს, კონფიდენციალურობის პრინციპებს, მხარეთა პასუხისმგებლობებს მიკროკრედიტის ხელშეკრულების დარღვევისათვის, ყველა სხვა ხარჯს, რომელიც ეკისრება მიკროკრედიტის მიმღებს (მე-20 მუხლი).³⁴

საკმაოდ ზოგადი და არასისტემური სახისაა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, როგორც იურიდიული პირების ლიკვიდაციის სამართლებრივი პროცედურა. აღნიშნულ საკითხს განსაზღვრავს რუმინეთის სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები. კერძოდ, რუმინეთის სამოქალაქო კოდექსის 245-ე მუხლის თანახმად კერძო სამართლის იურიდიული პირები ლიკვიდაციას ექვემდებარებიან: ა) თუ მათი შექმნის ვადა გასულია, ბ) თუ მათი შექმნის მიზანი მიღწეულია ან შეუძლებელია მისი მიღწევა, გ) თუ მათ მიერ მიზნის მისაღწევად გამოყენებული საშუალებები ეწინააღმდეგება კანონს ან საზოგადოებრივ წესრიგს, ან თუ ისინი ესწრაფვიან

განსხვავებულ მიზანს, ვიდრე მითითებულია; დ) მათი კომპეტენტური ორგანოების გადაწყვეტილებით; ე) კანონით, დამფუძნებელი აქტით გათვალისწინებული სხვა გზით, ან წესდების საფუძველზე.³⁵

მცირე დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ რუმინეთის მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსი და მათი ფუნქციები გამოირჩევა სისტემატიზირებულობითა და რეგულირების იმ სტანდარტებით, რომლებიც თანხვედრაშია ევროკავშირის წევრი ქვეყნების საფინანსო ინსტიტუტებისათვის დადგენილ მოთხოვნებთან.

აღსანიშნავია ისიც, რომ რუმინეთის მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ბოლო კვლევებით³⁶ ხსენებული სფერო ევროკავშირის ახალ წევრ ქვეყნებთან შედარებით განიცდის მნიშვნელოვან განვითარებას და ინსტიტუციონალურ სრულყოფას.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სამართლებრივი სტატუსი სომხეთში

სომხეთი, როგორც საქართველოს მეზობელი ქვეყანა, გამოირჩევა მიკროსაფინანსო ინსტიტუტების რეგულირების არა იმ თავისებურებებით, რომლებიც დამახასიათებელია უკრაინის შემთხვევაში. დღეის მდგომარეობით სომხეთის ეროვნული ბანკის მონაცემებით სომხეთში რეგისტრირებულია და ფუნქციონირე-

34 შეადარე. lege României privind societățile de microfinantare. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://legislatie.just.ro/Public/DetaliiDocumentAfs/63611>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].

35 Articolul 245, Codul Civil al României. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://legislatie.just.ro/Public/DetaliiDocument/175630>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].

36 შეადარე. Benchmarking Microfinance in Romania. 2019-2020. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.european-microfinance.org/sites/default/files/document/file/Annex%202.2.%20Benchmarking%20Microfinance%202019-2020%20Romania.pdf>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].

ბს 44 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია.³⁷ სომხეთის კანონმდებლობა ასევე უკრაინის მსგავსად არ იცნობს ცალკე სამართლებრივ ტერმინს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ან/და კომპანიის სახით. სომხეთში მიკროსაფინანსო ორგანიზაციები საკანონმდებლო ნორმატიულ დონეზე, ესაა ე. წ. საკრედიტო ორგანიზაციები. ხოლო, რაც შეეხება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსის განმსაზღვრელ ძირითად ნორმატიულ ბაზას, ესენია შემდეგი: 2002 წლის 29 მაისის სომხეთის რესპუბლიკის კანონი „საკრედიტო ორგანიზაციების შესახებ“.³⁸ 1998 წლის 28 ივლისის სომხეთის „სამოქალაქო კოდექსი“,³⁹ 2008 წლის 17 ივნისის სომხეთის რესპუბლიკის კანონი „სამომხმარებლო დაკრედიტების შესახებ“.⁴⁰ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგისტრაციის წესი კი განსაზღვრულია სომხეთის რესპუბლიკის ცენტრალური ბანკის საბჭოს 2008 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილება N194 – N დამტკიცებული „საკრედიტო ორგანიზაციების და მათი ფილიალების ლიცენზირებისა და რეგისტრაციის შესახებ“ დებულებით.⁴¹

და მაინც რას წარმოადგენს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სომხეთში?

პასუხს ხსენებულ კითხვაზე გვაძლევს კანონის „საკრედიტო ორგანიზაციების

შესახებ“ მე-3 მუხლი, რომლითაც მიკროსაფინანსო ორგანიზაცია არის „საკრედიტო ორგანიზაცია – იურიდიული პირი, რომელმაც მიიღო ლიცენზია ამ კანონით დადგენილი წესით, რომელსაც უფლება აქვს განახორციელოს ამ კანონით დადგენილი საქმიანობის სახეები“ (კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტი). თუმცა იგივე კანონი განსაზღვრავს იმასაც, თუ რა არის მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობა, რომლადაც მიიჩნევა „სესხების მოზიდვა და (ან) მსგავსი გარიგებების დადება და (ან) სესხების გაცემა, ან ამ კანონით გათვალისწინებული სხვა შენატანების შეტანა“ (კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი).

კანონი იმპერატიულად კრძალავს მიკროსაფინანსო საქმიანობას საკრედიტო ორგანიზაციების გარდა სომხეთის რესპუბლიკაში განახორციელონ „სესხების მოზიდვა და (ან) მსგავსი გარიგებების დადება და (ან) სესხების გაცემა, ან ამ კანონით გათვალისწინებული სხვა შენატანების შეტანა“ (კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი).

კანონი პირდაპირ ადგენს ასევე იმ სამართლებრივ ორგანიზაციულ ფორმას, რომლის საფუძველზე შეიძლება შეიქმნას მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, კერძოდ, „საკრედიტო ორგანიზაცია შეიძლება შეიქმნას შეზღუდული პასუხისმგებლობის

37 შეადარე. ჩამონათვალი იხ. Кредитные Организации Армений. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.cba.am/ru/SitePages/fscfocreditorganizations.aspx>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].

38 Закон Республики Армения о кредитных организациях. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<http://www.parliament.am/legislation.php?sel=show&ID=1945&lang=rus>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].

39 Гражданский Кодекс Республики Армения. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <http://www.parliament.am/law_docs/050598HO239rus.html?lang=rus> [წვდომის თარიღი 10.05.2024].

40 Закон Республики Армения о потребительском кредитовании. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.cba.am/EN/lalaws/Consumer%20Credits%20Rus.pdf>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].

41 Решение совета центрального банка Республики Армения #194-Н. #194-Н. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.cba.am/RU/Laregulations/Regulation_13.pdf> [წვდომის თარიღი 10.05.2024].

საზოგადოების, სააქციო საზოგადოების, კომერციული ან არაკომერციული კოოპერატივის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით“ (კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი).

საკმაოდ დეტალურად განსაზღვრავს ხსენებული კანონი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგისტრაციის სამართლებრივ პროცედურას. ხსენებული კანონის მე-5 მუხლით დაინტერესებული პირის დამფუძნებელი საკრედიტო ორგანიზაციის სახელმწიფო რეგისტრაციისა და ლიცენზირებისთვის სტანდარტული სარეგისტრაციო და იურიდიული დოკუმენტების გარდა სომხეთის ცენტრალურ ბანკს წარედგინება საკრედიტო ორგანიზაციის ხელმძღვანელთა საქმიანობის ანგარიში, რომელიც შედგენილია ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი ფორმით და საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობის დებულება, რომელშიც ასახული უნდა იყოს სახსრების მოზიდვისა და განთავსების წესები (კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი).

მხოლოდ სომხეთის ეროვნული ბანკი ახორციელებს მიკროსაფინანსო (იგივე) საკრედიტო ორგანიზაციის რეგისტრაციას და ლიცენზირებას ხსენებული მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციისა და ინფორმაციის მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

კანონი „საკრედიტო ორგანიზაციების შესახებ“ ასევე პირდაპირ განსაზღვრავს იმ წინაპირობებს, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში საკრედიტო ორგანიზაცია რეგისტრირებულ და ლიცენზირებულად ითვლება. კერძოდ, მის მიერ შესრულებული უნდა იყოს ისეთი აუცილებელი პირობები, როგორებიცაა: სრულად გადახდილი საწესდებო კაპიტალი, საქმიანობის ადგილის შესაბამისობა დადგენილ ტექნიკურ აღჭურვილობის მოთხოვნებთან, მენეჯერების კვალიფიკაციისა და პროფესიული შესაბამისობის

კრიტერიუმების შესაბამისობა („საკრედიტო ორგანიზაციების შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი).

სომხეთის ეროვნული ბანკი რეგისტრაციისა და ლიცენზირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან სამი დღის ვადაში გასცემს რეგისტრაციის მოწმობას და ლიცენზიას საკრედიტო ორგანიზაციაზე, იგი აცნობებს ასევე სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო რეესტრს რეგისტრაციის შესაბამისი ჩანაწერების შესახებ. შესაბამისად მხოლოდ სომხეთის ცენტრალურ ბანკში რეგისტრაციის მომენტიდან საკრედიტო ორგანიზაცია იძენს იურიდიული პირის სტატუსს და ითვლება ლიცენზირებულად. თუმცა სომხეთის ეროვნულ ბანკს შეუძლია უარი თქვას ლიზენზირებაზე, თუ წარმოდგენილია ყალბი ან არასანდო ინფორმაცია, წარმოდგენილი დოკუმენტები არასრულია ან ეწინააღმდეგება მოქმედ კანონებსა და სხვა სამართლებრივ აქტებს („საკრედიტო ორგანიზაციების შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი).

რაც შეეხება უშუალოდ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ მოპოვებულ ლიზენციას, იგი არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს სარგებლობაში, გასხვისდეს ან დაგირავდეს. საკრედიტო ორგანიზაციის ლიცენზიაში კი მითითებულია ნომერი, ლიცენზიის გაცემის თარიღი, საკრედიტო ორგანიზაციის სრული კომპანიის დასახელება, სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი, უფლებამოსილი ოპერაციები („საკრედიტო ორგანიზაციების შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის მე-2-3 პუნქტი).

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფუნქციონალური, კონკრეტული ფინანსური საქმიანობის სახეები განსაზღვრულია ხსენებული კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტით, რომლითაც საკრედიტო ორგანიზაციას ლიცენზიის საფუძველზე შეუძლია განახორციელოს შემდეგი ისეთი ფინანსური ოპერაციები, როგორებიცაა:

სესხების გაცემა და აღება, ფაქტორინგი, გარანტიების გაცემა, გამოუმვას ან იყიდოს და გაყიდოს ფასიანი ქაღალდები/სამოგზაურო ჩეკები/ბარათები და სხვა ინსტრუმენტები, შეასრულოს ფინანსური აგენტის (წარმომადგენლის) ფუნქციები (დილერი, ბროკერი, აგენტი, სუბდეპოზიტორი). აღნიშნულის გარდა მას ასევე შეუძლია ძვირფასი ლითონებისა და მონეტების საბანკო (სტანდარტული) შექმნა, გაყიდვა და მართვა, უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა, გასცეს ფინანსური იჯარა (ლიზინგი) და გასწიოს ფინანსური კონსულტაცია.

სომხეთში საკმაოდ მკაცრია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მენეჯმენტისათვის დაწესებული შესაბამისობის კრიტერიუმები და მათ მიმართ არსებული ნორმატიული მოთხოვნები. „საკრედიტო ორგანიზაციების შესახებ“ კანონის მე-9 მუხლით საკრედიტო ორგანიზაციის ხელმძღვანელი არ შეიძლება იყოს ის პირი, რომელსაც გააჩნია ნასამართლობა, ან სასამართლოს მიერ ჩამორთმეული აქვთ საფინანსო, საბანკო, საგადასახადო, საბაჟო, კომერციულ-ეკონომიკურ-სამართლებრივ სფეროში თანამდებობებზე დანიშვნის უფლება, გამოცხადებულნი არიან გაკოტრებულად, ან სისხლის სამართლის საქმეში ჩართული არიან როგორც ეჭვიანილნი, ბრალდებულნი.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სომხეთის რესპუბლიკის ცენტრალური ბანკის საბჭოს 2008 წლის 1-ლი ივლისის გადაწყვეტილება N194 – N დამტკიცებული „საკრედიტო ორგანიზაციების და მათი ფილიალების ლიზენზირებისა და რეგისტრაციის შესახებ“ დებულებით მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მენეჯმენტის შესაფერისობის დასადგენად ითვალისწინებს სპეციალური ტესტირებისა და მისი ჩატარების მეთოდოლოგიასაც კი.

ცალკე მსჯელობის საგანია სომხეთში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების

ფუნქციონალურ ქრილში მიკროდაკრედიტების საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგების საკითხი. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები მიკროდაკრედიტების სახელმძღვანელო სამართლებრივ საფუძვლებსა და პრინციპებს იღებენ სომხეთის კანონის „სამომხმარებლო დაკრედიტების შესახებ“ მოთხოვნებიდან.

კერძოდ, ხსენებული კანონის მე-4 მუხლით საკრედიტო ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით. ასევე მომხმარებელმა უნდა მიიღოს ერთი ორიგინალური საკრედიტო ხელშეკრულება. ხოლო მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ კლიენტთან გასაფორმებელ საკრედიტო ხელშეკრულებაში, სულ მცირე, უნდა ასახოს: ფაქტობრივი წლიური პროცენტის ოდენობა, შეტყობინება ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის, პირობებისა და ვადების შესახებ, მითითება მომხმარებლის მიერ სესხის დაფარვის მიზანი, თანხები, გადახდების პერიოდულობა ან ვადა, პროცენტი, სხვა სავალდებულო გადასახდელები, ასევე მათი ჯამური (საერთო) თანხის ოდენობასთან დაკავშირებით გადახდის პირობები, სესხის უზრუნველყოფის შეფასებისა და სხვა დამატებითი მომსახურების ოდენობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სახელშეკრულებო დაკრედიტების ტიპი. ასევე საკრედიტო ხელშეკრულების პირობები წარმოდგენილი უნდა იყოს სომხური ენაზე.

მნიშვნელოვან წინაპირობას შეიცავს და მის უფლებებს აფართოებს ხსენებული კანონის მე-9 მუხლით განსაზღვრული უფლება. კერძოდ, მომხმარებლის უფლებაა შეწყვიტოს საკრედიტო ხელშეკრულება ყოველგვარი მიზეზის გარეშე და ცალმხრივად. ხოლო ამავე კანონის მე-10 მუხლით კი მომხმარებელს ასევე უფლება აქვს ვადაზე ადრე შეასრულოს საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, მიუხედავად იმისა, გათ-

ვალისწინებულია თუ არა ეს უფლება სესხის ხელშეკრულებით.

რაც შეეხება სომხეთში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ლიკვიდაციას, მის საფუძვლებსა და ძირითად სამართლებრივ პრინციპებს არასისტემური სახით ადგენს სომხეთის სამოქალაქო კოდექსი. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 67-ე მუხლით იურიდიული პირის საქმიანობა წყდება მისი ლიკვიდაციით – უფლება-მოვალეობების სხვა პირებზე გადაცემის გარეშე. ხოლო თვით იურიდიული პირის ლიკვიდაცია შესაძლებელია შემდეგ კონკრეტულ შემთხვევებში:

- მისი დამფუძნებლების (მონაწილეების) ან წესდებით უფლებამოსილი იურიდიული პირის ორგანოს გადაწყვეტილებით, მათ შორის იმ ვადის გასვლასთან დაკავშირებით, რომლითაც შეიქმნა იურიდიული პირი, ან იმ მიზნების მიღწევასთან დაკავშირებით, რისთვისაც იგი იყო შექმნილი;
- სასამართლოს მიერ იურიდიული პირის რეგისტრაციისას კანონის ან სხვა სამართლებრივი აქტების დარღვევის გამო ბათილად ცნობის შემთხვევაში;
- სასამართლოს გადაწყვეტილებით ნებართვის (ლიცენზიების) ან კანონით აკრძალული საქმიანობის, ან კანონის, ან სხვა სამართლებრივი აქტების სხვა განმეორებით, ან უხეში დარღვევით.

სამოქალაქო კოდექსის 69-ე მუხლი დეტალურად განსაზღვრავს იურიდიული პირის ლიკვიდაციის პროცედურასაც, რომლითაც იურიდიული პირის ლიკვიდაციისათვის იქნება სალიკვიდაციო კომისია, რომელიც აქვეყნებს მონაცემებს იურიდიული პირის სახელმწიფო რეგისტრაციის შესახებ, მისი ლიკვიდაციისა და მისი კრედიტორების მოთხოვნის წესი-

სა და პირობების შესახებ. კომისია ასევე იღებს ზომებს კრედიტორების იდენტიფიცირებისა და დებიტორული დავალიანების მისაღებად, ასევე აცნობებს კრედიტორებს იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ. კომისია ასევე ვალდებულია კრედიტორების მიერ მოთხოვნების წარდგენის ვადის გასვლისას შეადგინოს შუალედური სალიკვიდაციო ბალანსი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ლიკვიდირებული იურიდიული პირის ქონების შემადგენლობის შესახებ. აღსანიშნავია ისიც, რომ შუალედურ სალიკვიდაციო ბალანსს ამტკიცებენ იურიდიული პირის დამფუძნებლები (მონაწილეები) ან წესდებით უფლებამოსილი იურიდიული პირის ორგანო, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ. ხსენებული კანონის დანაწესი ადგენს იმასაც, რომ, თუ ლიკვიდირებული იურიდიული პირის ხელთ არსებული სახსრები არასაკმარისია კრედიტორის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, სალიკვიდაციო კომისია იურიდიული პირის ქონებას საჯარო აუქციონის წესით ყიდის საჯარო აუქციონის შესახებ კანონის შესაბამისად. კრედიტორებთან ანგარიშსწორების დასრულების შემდეგ კი უკვე სალიკვიდაციო კომისია ადგენს სალიკვიდაციო ბალანსს, რომელსაც ამტკიცებენ იურიდიული პირის დამფუძნებლები (მონაწილეები) ან წესდებით უფლებამოსილი იურიდიული პირის ორგანო, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება. სალიკვიდაციო კომისია დამტკიცებულ სალიკვიდაციო ბალანსს წარუდგენს იურიდიულ პირთა სახელმწიფო რეგისტრაციაზე პასუხისმგებელ ორგანოს.

მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ იურიდიული პირის კრედიტორის ქონება გადაეცემა მის დამფუძნებლებს (მონაწილეებს), თუ კანონით, სხვა სამართლებრივი აქტებით ან იურიდიული პირის წესდებით სხვა რამ არ არის გათვა-

ლისწინებული. იურიდიული პირი ლიკვიდირებულად ითვლება და მისი არსებობა წყდება იურიდიულ პირთა სახელმწიფო რეესტრში შეტანის მომენტიდან.

მცირე დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ სომხეთის სამართლის სისტემა არ იძლევა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სამართლებრივი სტატუსის ერთიან სისტემატიზირებულ სურათს. მასში უფრო გამოკვეთილია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფუნქციებში ვალდებულებითი – მომხმარებელთა უფლებების დაცვის სტანდარტი ცალკე არსებული კანონის სახით. უკრაინისა და რუმინეთის სამართლის სისტემებისაგან განსხვავებით გაცილებით სუსტია ასევე კაპიტალისა და რისკების მართვის მხრივ არსებული სავალდებულო სამართლებრივი მექანიზმები. ერთადერთ დადებით ნიშნად უნდა მივიჩნიოთ სომხეთში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგისტრაციისა და ლიცენზირების გამარტივებული მოთხოვნები.

დასკვნა

სტატიაში განხილული მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სამართლებრივი სტატუსი უკრაინაში, რუმინეთსა და სომხეთში გვაძლევს აშკარა სურათს იმისა, თუ რა დადებითი და უარყოფითი მხარეებით ხასიათდება სამართლებრივ ჭრილში მიკროსაფინანსო ორგანიზაციები საქართველოში. ხსენებული ქვეყნებისაგან განსხვავებით საქართველო, როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წმინდა პრუდენციული ზედამხედველობის მოდელის მქონე, მეტ ყურადღებას უთმობს უშუალოდ რეგისტრაციის შემდგომ პერიოდში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ზედამხედველობას, მათი საქმიანობის მკაცრ სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევას, ვიდრე ამას, მაგა-

ლითად, ადგილი აქვს უკრაინის ან/და სომხეთის შემთხვევაში. ფუნქციონალურ ჭრილში ხსენებული ქვეყნებისაგან განსხვავებით საქართველოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს გაცილებით მოქმედების ფართო არეალი აქვთ, ვიდრე ამას ჩვენ ვხვდებით, მაგალითად, რუმინეთის ან უკრაინისა თუ სომხეთის შემთხვევაში. გარდა ამისა, არც ერთ ხსენებულ ქვეყანაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს განვითარების ის აშკარა შესაძლებლობა არ აქვთ, როგორც ჩვენ ვხვდებით ქართულ რეალობაში. ამას კი ადგილი ექნება, როდესაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს უკვე შემოდგომაზე მიკრობანკის სტატუსის მიღების მხრივ მიეცემათ ფინანსური და სამართლებრივი სრულყოფის აშკარა შესაძლებლობები.

რაც შეეხება სამართლებრივ სისუსტეებს ქართულ რეალობაში, რასაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობაში ვაწყდებით, ესაა მიკროდაკრედიტების არასაკმარისი სტანდარტების, გაცილების სუსტი სამომხმარებლო უფლებების დაცვის მექანიზმები. მართალია გვაქვს „მომხმარებელთა უფლებების დაცვის“ ახალი კანონი, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული ქვენორმატიული აქტები ფინანსური მომსახურებისას მომხმარებელთა უფლებების მხრივ, თუმცა სისტემატიზირებული ნორმატიული ჩარჩო ცალკე კანონის სახით, როგორც ჩვენ ვხვდებით სომხეთის, რუმინეთის ან უკრაინის შემთხვევაში, საქართველოს ჯერჯერობით არ გააჩნია. ამიტომ უპრიანი იქნება, თუკი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის განვითარებისა და სამომხმარებლო უფლებების დაცვის სტანდარტის დაწესების მიზნით შემუშავებული და მიღებული იქნება ცალკე კანონი მიკროდაკრედიტების შესახებ, რომელსაც ჩვენ ვხვდებით ევროკავშირის ქვეყნების უმეტესობაში.

ეს კი ხელს შეუწყობს არა მარტო მიკროსესხების სამართლებრივი მექანიზმების განვითარებას, არამედ დააწესებს მკაცრ სამართლებრივ ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც მიკროსაფინანსო ორგანიზაცი-

ები შეძლებენ ფიზიკური და იურიდიული პირების ისეთ მომსახურებას, სადაც მათი უფლებები იქნებ მაქსიმალურად დაცული.

ბიბლიოგრაფია:

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რომის სამართლის ძეგლები, გაიუსის ინსტიტუციები. 2011. თბილისი.
2. რუსიეშვილი, გ. და შალიკაშვილი, მ., 2020. აკადემიური წერა იურისტებისათვის. თბილისი.
3. Benchmarking Microfinance in Romania. 2019-2020. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.european-microfinance.org/sites/default/files/document/file/Annex%202.2.%20Benchmarking%20Microfinance%202019-2020%20Romania.pdf>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].
4. Geoffrey, S., 2014. "An Introduction to Comparative Law Theory and Method." OXFORD AND PORTLAND, OREGON: Published in the United Kingdom by Hart Publishing Ltd.
5. Expert Group Report The Regulation of Microcredit in Europe. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://ec.europa.eu/docsroom/documents/3669/attachments/1/translations/en/renditions/pdf>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].
6. European microfinance network – EMN Legislative Mapping Report Romania. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.european-microfinance.org/publication/emn-legislative-mapping-report-romania>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].
7. Кожевников, В. В., 2008. Методология и история права. В 2-х частях. Ч.1. Омк: ОмГУ.
8. Сабо, И, 1969. Сравнительное правоведение. 1969. Сборник статей: Перевод с венгерского. Критика современной буржуазной теории права. Москва: Прогресс, გვ. 74-117.
9. Сырых В. М., 2012. История и методология

юридической науки: учебник. М. Норма: ИН-ФРА-М.

ინტერნეტ რესურსები:

1. Все МФО Украины 2024. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<http://finstaff.com.ua/catalog/mfo-ukrainy.html>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].
2. Все МФО Украины – кредитные компании 2024. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://kredit-online.com.ua/ru/finance-company>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].
3. Інші реєстри та переліки. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://bank.gov.ua/ua/supervision/split/registers-lists>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].
4. Кредитные Организации Армений. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.cba.am/ru/SitePages/fscfocreditorganizations.aspx>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].
5. Что такое МФО?. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://mycredit.ua/ru/blog/chto-takoe-mfo/>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კანონი „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ.“ [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/24328?publication=23>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].
2. Law of ukraine On Financial Services and State Regulation of Financial Services Markets. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://zakon.rada.gov.ua/laws/show/en/2664-14#Text>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].
3. Цивільний кодекс України. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://zakon.rada.gov>>

- [ua/laws/show/en/435-15#Text](http://www.bank.gov.ua/laws/show/en/435-15#Text)> [წვდომის თარიღი 10.05.2024].
4. Закон України Про споживче кредитування. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://zakon.rada.gov.ua/laws/main/1734-19?lang=en#Text>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].
 5. Постанова Правління Національного банку України №153. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://bank.gov.ua/ua/legislation/Resolution_24122021_153> [წვდომის თარიღი 10.05.2024].
 6. Codul Civil al României. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://legislatie.just.ro/Public/DetaliiDocument/175630>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].
 7. lege României privind societățile de microfinantare. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://legislatie.just.ro/Public/DetaliiDocumentAfis/63611>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].
 8. Instituții financiare nebancale. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.bnr.ro/Instituitii-financiare-nebancale-2065.aspx>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].
 9. Гражданский Кодекс Республики Армения. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<http://www.parliament.am/law/docs/050598HO239rus.html?lang=rus>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].
 10. Закон Республики Армения о кредитных организациях. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<http://www.parliament.am/legislation.php?sel=show&ID=1945&lang=rus>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].
 11. Закон Республики Армения о потребительском кредитовании. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.cba.am/EN/lalaws/Consumer%20Credits%20Rus.pdf>> [წვდომის თარიღი 10.05.2024].
 12. Решение совета центрального банка Республики Армения #194-Н. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.cba.am/RU/Laregulations/Regulation_13.pdf> [წვდომის თარიღი 10.05.2024].

BIBLIOGRAPHY:

Used Literature:

1. Benchmarking Microfinance in Romania. 2019-2020. [Online] available: <<https://www.european-microfinance.org/sites/default/files/document/file/Annex%202.2.%20Benchmarking%20Microfinance%202019-2020%20Romania.pdf>> [Accessed 10.05.2024]. (in English)
2. Expert Group Report The Regulation of Microcredit in Europe. [Online] available: <<https://ec.europa.eu/docsroom/documents/3669/attachments/1/translations/en/renditions/pdf>> [Accessed 10.05.2024]. (in English)
3. European microfinance network – EMN Legislative Mapping Report Romania. [Online] available: <<https://www.european-microfinance.org/publication/emn-legislative-mapping-report-romania>> [Accessed 10.05.2024]. (in English)
4. Geoffrey, S., 2014. An Introduction to Comparative Law Theory and Method. OXFORD AND PORTLAND, OREGON. Published in the United Kingdom by Hart Publishing Ltd. (in English)
5. Kozhevnikov, V. V., 2008. Methodology and History of Law. In 2 Parts. Part 1. Omsk: Omsk State University. (in Russian)
6. Monuments of Roman Law, The Institutes of Gaius, 2011. Tbilisi. (in Georgian)
7. Rusieshvili, G. and Shalikhvili, m., 2020. Academic Writing for Lawyers. Tbilisi. (in Georgian)
8. Sabo, I., 1969. Comparative Law. Collection of articles: translated from Hungarian. Critique of Modern Bourgeois Theory of Law. M:Progress. (in Russian)
9. Srykh, V. M., 2012. History and Methodology of Legal Science: Textbook. M. Norma: IN-FRA-M. (in Russian)

Internet Resource:

1. All MFOs of Ukraine 2024. [Online] available: <<http://finstaff.com.ua/catalog/mfo-ukrainy>>

2. [html](#)> [Accessed 10.05.2024]. (in Russian)
2. All MFOs of Ukraine – Credit Companies 2024. [Online] available: <<https://kredit-online.com.ua/ru/finance-company>> [Accessed 10.05.2024]. (in Russian)
3. Other registers and lists. [Online] available: <<https://bank.gov.ua/ua/supervision/split/registers-lists>> [Accessed 10.05.2024]. (in Ukrainian)
4. Credit Organizations of Republic of Armenia. [Online] available: <<https://www.cba.am/ru/SitePages/fscfocreditorganizations.aspx>> [Accessed 10.05.2024]. (in Russian)
5. What is MFO?. [Online] available: <<https://mycredit.ua/ru/blog/chtotakoe-mfo/>> [Accessed 10.05.2024]. (in Russian)
6. [Resolution 24122021_153](#)> [Accessed 10.05.2024]. (in Ukrainian)
6. Civil Code of Romania. [Online] available: <<https://legislatie.just.ro/Public/DetaliiDocument/175630>> [Accessed 10.05.2024]. (in Romanian)
7. Law of Romanian on Microfinance Companies. [Online] available: <<https://legislatie.just.ro/Public/DetaliiDocumentAfis/63611>> [Accessed 10.05.2024]. (in Romanian)
8. Banking Financial Legislation. [Online] available: <<https://www.bnr.ro/Institutii-financiare-nebancare-2065.aspx>> [Accessed 10.05.2024]. (in Romanian)
9. Civil Code of the Republic of Armenia. [Online] available: <http://www.parliament.am/law_docs/050598HO239rus.html?lang=rus> [Accessed 10.05.2024]. (in Russian)

Normative Materials:

1. Law of Georgia On Microfinance Organisations. [Online] available: <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/24328?publication=23>> [Accessed 10.05.2024].
2. Law of Ukraine On Financial Services and State Regulation of Financial Services Markets. [Online] available: <<https://zakon.rada.gov.ua/laws/show/en/2664-14#Text>> [Accessed 10.05.2024]. (in English)
3. Civil Code of Ukraine. [Online] available: <<https://zakon.rada.gov.ua/laws/show/en/435-15#Text>> [Accessed 10.05.2024]. (in Ukrainian)
4. Law of Ukraine On consumer lending. [Online] available: <<https://zakon.rada.gov.ua/laws/main/1734-19?lang=en#Text>> [Accessed 10.05.2024]. (in Ukrainian)
5. Decision of the Board of the National Bank of Ukraine 153 №153. [Online] available: <<https://bank.gov.ua/ua/legislation/>
10. The Law of the Republic of Armenia on credit Organizations. [Online] available: <<http://www.parliament.am/legislation.php?sel=show&ID=1945&lang=rus>> [Accessed 10.05.2024]. (in Russian)
11. The Law of the Republic of Armenia “On consumer lending”. [Online] available: <<https://www.cba.am/EN/lalaws/Consumer%20Credits%20Rus.pdf>> [Accessed 10.05.2024]. (in Russian)
12. Decision of the Board of the Central Bank of Republic of Armenia N194-H. [Online] available: <https://www.cba.am/RU/Laregulations/Regulation_13.pdf> [Accessed 10.05.2024]. (in Russian)